საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. უ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 053/23

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი თ. გ. /სიითიN/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2023 წლის 5 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. უ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ე. უ.-ის განმარტებით, 2021 წლის 3 დეკემბერს, სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს, სადაც განუმარტეს, რომ იურიდიული კონსულტაციის მისაღებად უნდა მისულიყო ნაძალადევის რაიონის გამგეობაში მომუშავე იურისტთან. ე. უ.-ის განცხადებით, ის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადვოკატ თ. გ.-

სთან, სამართლებრივი დახმარების მისაღებად მივიდა იმავე წლის 6 დეკემბერს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ადვოკატი თ. გ. ვალდებული იყო მისთვის უსასყიდლოდ გაეწია საადვოკატო მომსახურება: შეედგინა საპროცესო დოკუმენტები, მათ შორის სააპელაციო საჩივარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. გ.-მა უარი განუცხადა საპროცესო დოკუმენტის შედგენაზე და განუმარტა ე. უ.-ს, რომ არ შეიცვლიდა გადაწყვეტილებას და არ დაეხმარებოდა: „მე თქვენ გიცანით, თქვენ 4 წლის წინ კონფლიქტი გქონდათ ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომლის გვარი არც კი მახსოვს, თქვენ ხართ აგრესიული და კონფლიქტური პიროვნება, მე არ გაგიწევთ არანაირ იურიდიულ დახმარებას, არც სარჩელს დაგიწერთ და არც კონსულტაციას გაგიწევთ უმარტივეს საკითხებზეც კი.“ საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს მოსთხოვა ორგანიზაციის „ჩემი ადვოკატი“ წესდება, რომლის გადაცემაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა და განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ მოახსენებდა თავის უფროსს, რომ ე. უ. იყო აგრესიული პიროვნება და ის ორგანიზაციიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. იმავე დღის 6 საათზე ადვოკატმა თ. გ.-მა აცნობა, რომ გაესაუბრა თავის ხელმძღვანელებს და მათ უარი უთხრეს ე. უ.-ისათვის დოკუმენტების შედგენასა და დახმარების გაწევაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. გ.-მა დაარღვია ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს წესდების მე-2 მუხლის მეორე პუნქტი, რაც ავალდებულებდა მას ე. უ.-ისათვის საპროცესო დოკუმენტების შედგენას და საადვოკატო მომსახურების გაწევას. მომჩივანის განცხადებით, იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა ფინანსური სახსრები მოეძებნა სხვა ადვოკატი, ხოლო თ. გ.-მა უარი განუცხადა სამართლებრივი დახმარების გაწევაზე, წააგო სასამართლო დავა და მიადგა ფინანსური ზიანი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 9 ივნისს, სადაც მიუთითა, რომ ე. უ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატმა წერილობით ახსნა-განმარტებაში დაადასტურა, რომ ე. უ. 2021 წლის 6 დეკემბერს მივიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს ნაძალადევის რაიონის ოფისში და სთხოვა ორი საპროცესო დოკუმენტის შედგენა. ადვოკატის განმარტებით, ე. უ.-ს არაერთხელ უსარგებლია ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ის მომსახურებით 53 ზეპირი კონსულტაცია, 11 საპროცესო დოკუმენტი და 3 ადმინისტრაციული საჩივარი. ადვოკატის განცხადებით, ე. უ. გამოირჩეოდა ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ აგრესიული დამოკიდებულებით, ცდილობდა იურისტებისათვის თავზე მოეხვია მისი შეხედულებები, იყო კონფლიქტური პიროვნება და გამოირჩეოდა ორგანიზაციის რესურსის მიმართ მომხმარებელი დამოკიდებულებით. ადვოკატის განცხადებით, მომჩივანს კონფლიქტი ჰქონდა ორგანიზაციის ერთ-ერთ თანამშრომელთანაც, რამაც აიძულა თ. გ. ე. უ.-ისათვის სამართლებრივი დახმარების

გაწევაზე ინფორმაცია მიეწოდებინა ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის. ადვოკატის განმარტებით, მან ინფორმაცია მიაწოდა ე. უ.-ს საპროცესო ვადებზე და განუმარტა, რომ მისთვის მომსახურების გაწევა უნდა შეეთანხმებინა უშუალო ხელმძღვანელთან. ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა სამართლებრივი დახმარების გაწევაზე, იმ საფუძვლით, რომ მომჩივანი იყო კონფლიქტური პიროვნება, იჩენდა უნდობლობას ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ და მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ ორგანიზაციის თანამშრომლებს უჩივლებდა სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის მერიასა და სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე ე. უ.-ის ინფორმირებისას, მომჩივანმა სტაჟიორებისა და მოქალაქეების თანდასწრებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2.3 ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი"-ის წესდება არ ითვალისწინებს ადვოკატების ვალდებულებას ყველა მოქალაქეს გაუწიონ სამართლებრივი დახმარება. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში სამართლებრივი განათლების დონის ამაღლება. სწორედ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, ორგანიზაცია უსასყიდლოდ ახორციელებს მოქალაქეთა სამართლებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მათ შორის მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ე. უ.-ს აქვს არაერთი სასამართლო დავა და სარგებლობს სხვა ადვოკატების მომსახურებით. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა მის მიმართ სამოქალაქო სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც არ დაკმაყოფილდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს გასაჩივრებული აქვს სააპელაციო წესით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი თ. გ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი; ბავშვთა უფლებები.

3.2 ე. უ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 5 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. გ.-მა უარი უთხრა საადვოკატო მომსახურების გაწევასა და საპროცესო დოკუმენტების შედგენაზე, რითიც უხეშად დაარღვია ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი"-ის წესდება და ადვოკატის ქმედებით მომჩივანს მიადგა ფინანსური ზიანი.

5.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია..... კანონიერება (ადვოკატთა „ადვოკატთა შესახებ" კანონი, მუხლი 3.ა).

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა „ადვოკატთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.ა).

ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები (ადვოკატთა „ადვოკატთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.ბ).

5.4 „ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით" (ეთიკის კომისიის 2019 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 074/16).

5.5 ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალებით, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, რათა კლიენტმა მიიღოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება (ეთიკის კომისიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N005/20).

5.6 მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ვერ ჩაითვლება მხოლოდ ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე. საპროცესო კოლეგია ეყრდნობა ეთიკის კომისიის პრაქტიკას, რომ ცალმხრივი ნების გამოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს მხარეთა შორის შეთანხმებად იურიდიული მომსახურების გაწევაზე… ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთვის აუცილებელია ამის თაობაზე ორივე მხარემ გამოხატოს თანხმობა.... ადვოკატმა უნდა გამოხატოს ნება და მკაფიო თანხმობა, რომ ის იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას გაუწიოს საადვოკატო მომსახურება პირს, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2019 წლის რეკომენდაცია №001/19).

5.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. გ.-მა დაარღვია ორგანიზაციის ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“ წესდება, როდესაც მას უარი განუცხადა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე, რაც წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევას. მომჩივანის პოზიციას არ დაეთანხმა ადვოკატი თ. გ..

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ კანონის ნორმებისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ დაუშვებელია ადვოკატის იძულება პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და აქვს თავისუფალი არჩევანი - პირადი ან/და პროფესიული შეხედულებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს, რომელი საქმე აწარმოოს და რომელი საქმის წარმოებაზე თქვას უარი. დასახელებულ შემთხვევაში ადვოკატი თ. გ. წარმოადგენს ორგანიზაცია „ჩემი ადვოკატი“-ში დასაქმებულ ადვოკატს. ორგანიზაციის წესდების მეორე მუხლი განმარტავს, რომ ა(ა)იპ-ის მიზნებია: საზოგადოებაში სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირება; სამართლებრივი ხასიათის პრობლემატიკის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის დამყარება; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და დამწყები იურისტებისათვის პრაქტიკული იურიდიული განათლების მიცემა/ამაღლება; სასკოლო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება; ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა. წესდებაში მითითებულია: „ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ა(ა)იპ: თანამშრომლობს სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ახორციელებს უსასყიდლოდ მოქალაქეთა სამართლებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას; უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებადაცვით საქმიანობაში უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დამწყები იურისტების აქტიურ ჩართვას და მათ უშუალო მონაწილეობას“... და ა.შ.. წესდებით ირკვევა, რომ ორგანიზაციის მისიას საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს, რომლის მისაღწევადაც, ორგანიზაცია მათ შორის, უსასყიდლოდ ახორციელებს მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას. წესდების არც ერთ მუხლში არ არის მითითება, რომ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია ყველა მოქალაქეს გაუწიოს საადვოკატო მომსახურება და აღნიშნული მომსახურების ფარგლებში განახორციელოს სხვადასხვა სამართლებრივი მოქმედებები. ორგანიზაციის წესდებაში ასეთი ჩანაწერის არსებობა დაუპირისპირდებოდა კიდეც ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპსა და ადვოკატის - თავისუფალი პროფესიის არსს.

5.9 საპროცესო კოლეგია დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ემყარება ნდობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კლიენტი მიმართავს იმიტომ, რომ ენდობა მის პროფესიონალიზმსა და მის პიროვნებას. წარმოუდგენელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ისეთ შემთხვევაში, როცა კლიენტი უნდობლობას უცხადებს ადვოკატს. თავის მხრივ, ადვოკატიც ვერ შეძლებს მოემსახუროს ისეთ კლიენტს, რომელიც უნდობლობას იჩენს მის მიმართ და არ ენდობა მის პროფესიონალიზმს. დასახელებულ შემთხვევაში, ადვოკატის პროფესიის თავისუფლების პრინციპიდან და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათიდან, სადაც უდიდეს როლს თამაშობს ადვოკატის მიმართ კლიენტის ნდობა, გამომდინარე, ადვოკატ თ. გ.-ს არ ჰქონდა ვალდებულება საადვოკატო მომსახურება გაეწია საჩივრის ავტორისათვის, შესაბამისად, მისი უარი - საჩივრის ავტორისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევაზე, სრულად შეესაბამება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს.

5.10 საპროცესო კოლეგია ე. უ.-ის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა თ. გ.-მა დაარღვია ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ის წესდება და ადვოკატის ქმედებით ე. უ.-ს მიადგა ფინანსური ზიანი განმარტავს, რომ ეთიკის კომისია არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებული დისციპლინური დევნის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეისწავლის ადვოკატის ქცევის შესაბამისობას პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტებთან; ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინირების საკითხს. ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები ან/და მოირგოს სხვა ორგანოს კომპეტენცია და იმსჯელოს ფინანსურ ზიანთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5.11 დასახელებულ შემთხვევაში, საქმისწარმოების მასალების შესწავლის საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ თ. გ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების შესაძლო დარღვევა.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N053/23 ადვოკატ თ. გ.-ის /სიითი N7/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/